



დამტკიცებულია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორატის

სხდომაზე #4 (03.03.12)

დანართი # 3

**საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სწავლების ხარისხის  
შეფასების რეგულაცია**

**1. სწავლების ხარისხის შეფასების რეგულაციის მიზანი:**

1.1 ამ რეგულაციის მიზანია სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სრულყოფა და მონიტორინგი, აკადემიური და მატერიალური რესურსის ეფექტური გამოყენება და მისი განვითარება.

**1.2 სწავლების ხარისხის შეფასებისთვის მოწმდება:**

საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალი
- სასწავლო გარემო
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრება
- კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა დასაქმების მაჩვენებლის შესწავლის გზით.

**1.3 უნივერსიტეტის ხარისხის სრულყოფისათვის უნივერსიტეტი იყენებს**

სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მექანიზმს, რაც გამოიხატება სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პროფესორის, კურსდამთავრებულების რეგულარული გამოკითხვის საშუალებით.

**1.4 სასწავლო პროცესის შეფასების მთავარი მიზანია გამოავლინოს პროგრამებში**

არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. ამ პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია უნივერსიტეტის სტუდენტების, ლექტორებისა და ადმინისტრაციის სრული ჩართულობა.

## **2. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე**

2.1. **დაგეგმე** - სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება ჩასატარებელი ღონისძიებების სიხშირე, კრიტერიუმები და განმახორციელებლები. უნივერსიტეტის ცალკეული სკოლების მიერ განისაზღვრება კონკრეტული მიზნები, რესურსები, ამ მიზნების მისაღწევი სტრატეგიული ქმედებები.

2.2. **განახორციელე** - ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელების პროცესი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებას და ანგარიშგებას. სისტემატური შემოწმების შედეგებმა შეიძლება მოითხოვოს ცალკეული პროგრამების ან მათში შემავალი კომპონენტების მოდიფიკაცია ან კორექტირება. ამ პროცესზე უფლებამოსილი პირები ვალდებული არიან პროგრამები შესაბამისობაში მოიყვანონ დადგენილ სტანდარტებთან.

2.3. **შეამოწმე** - უნივერსიტეტისა თუ ცალკეული სკოლის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები ეცნობა და განიხილება უნივერსიტეტის რექტორატის ან სკოლების აკადემიური საბჭოს სხდომებზე. კვლევებით მიღებული შედეგების შემოწმების მიზანია უნივერსიტეტისა თუ ცალკეული სკოლების ძლიერი და სუსტი მხარეების წარმოჩენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

2.4. **განავითარე** - რექტორატი ან სკოლის აკადემიური საბჭო განსაზღვრავს კვლევით გამოვლენილი ხარვეზების მიზეზებს და რეკომენდაციების შემუშავების გზით ადგენს მდგომარეობის გაუმჯობესების მექანიზმებს.

## **3. სწავლების ხარისხის შეფასების ფორმები**

3.1 უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობის მიზნით გამოიყენება სასწავლო პროცესის სწავლების ხარისხის შემოწმების შემდეგი ფორმები:

- ✓ ლექტორების საქმიანობის შეფასება
- ✓ სტუდენტთა გამოკითხვა
- ✓ ჯგუფის შეფასება ლექტორის მიერ
- ✓ კურსდამთავრებულების გამოკითხვა
- ✓ კურსდამთავრებულთა დასაქმების აღრიცხვა
- ✓ კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის ანალიზი
- ✓ მოწვეული ლექტორების ჩართვა სასწავლო გეგმის შემუშავებაში

- ✓ გარე ფაქტორების კვლევა

#### 4. ლექტორების საქმიანობის შეფასება

4.1 ლექტორთა საქმიანობის შეფასება ხდება შემდეგი ინსტრუმენტებით:

- სკოლის ადმინისტრაციის მიერ ლექციებზე, სემინარებზე, პრეზენტაციებზე, გამოცდებზე პერიოდული დასწრება
- სტუდენტების გამოკითხვა შემუშავებული ანკეტის მეშვეობით

4.2 სტუდენტთა გამოკითხვა

სტუდენტთა გამოკითხვა ხდება შემდეგი მიმართულებებით:

- კურსის/საგნის შეფასება
- ლექტორის შეფასება
- სასწავლო მასალის შეფასება

სტუდენტთა გამოკითხვა ხდება სკოლების აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კითხვარების მეშვეობით. თოთიეული კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტებს ურიგდებათ შესავსები ფორმები, რომელთა ანონიმურობა დაცულია.

4.3 ჯგუფის შეფასება ლექტორის მიერ:

ყოველი კურსის დასრულებისას აკადემიურ თუ მოწვეულ პროფესორას ურიგდება სკოლის აკადემიური საბჭოს მიერ შემუსავებული და დამტკიცებული ფორმა, რომლის მიხედვითაც ხდება კონკრეტული ჯგუფის სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასება

4.4 კურსდამთავრებულების გამოკითხვა

წელიწადში ერთხელ სკოლის ადმინისტრაცია ატარებს სკოლის კურსდამთავრებულების გამოკითხვას, რომლის მიზანია კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა და მათი პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი მოთხოვნების გადახედვა.

4.5 კურსდამთავრებულთა დასაქმების აღრიცხვა/სტატისტიკის ანალიზი

უნივერსიტეტის ყოველი სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია აწარმოოს თავისი სკოლის კურსდამთავრებულების დასაქმების ყოველწლიური აღრიცხვა, რომლის სტატისტიკის ანალიზის განხილვაც ხდება სკოლის აკადემიური საბჭოს მიერ.

4.6 მოწვეული ლექტორების ჩართვა სასწავლო გეგმის შემუშავებაში

სკოლის აკადემიური საბჭოს სხდომებთან ერთად გარკვეული პერიოდულობით იგეგმება მოწვეულ უცხოელ თუ ადგილობრივ ლექტორებთან შეხვედრები, რომელთა მიზანია მათი ჩართულობის უზრუნველყოფა და რეკომენდაციების გათვალისწინება კონკრეტული პროგრამების სასწავლო გეგმების შემუშავებასა და შემდგომ განვითარებაში.

#### 4.7 გარე ფაქტორების კვლევა

კონკრეტული სკოლის საჭიროებების გათვალისწინებით სკოლებში ხორციელდება საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში არსებული მსგავსი აკადემიური პროგრამების კვლევა და ანალიზი, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამების კონკურენტუნარიანობის და ცალკეული კომპონენტების ხარისხის განსაზღვრას.

### 5. უნივერსიტეტის შიდა შეფასების შედეგები

ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტის რექტორატი და ცალკეული სკოლების აკადემიური საბჭო განიხილავს ჩატარებული კვლევების შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.